სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ქობულეთის შემოვლითი გზის 4-ზოლიან მაგისტრალად მოდერნიზაციის პროექტი

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის გაუმჯობესება (მოდერნიზაცია) და ექსპლუატაცია

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტი

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ქობულეთის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტები

საჯარო განხილვის ორგანიზატორი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:

- **2024 წლის 30 ოქტომბერი, 12:00 საათი, ქობულეთის მუნიციპალიტეტის** დაბა ოჩხამურის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა
- **2024 წლის 30 ოქტომბერი, 15:00 საათი,** ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ხუცუბნის საჯარო სკოლის შენობა
- **2024 წლის 31 ოქტომბერი, 12:00 საათი, ქობულეთის მუნიციპალიტეტის** ბობოყვათის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა
- **2024 წლის 31 ოქტომბერი, 15:00 საათი, ქობულეთის მუნიციპალიტეტის** ციხისძირის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა
- **2024 წლის 1 ნოემბერი, 12:00 საათი, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფ.** საჩინოს საჯარო სკოლის შენობა
- **2024 წლის 1 ნოემბერი, 15:00 საათი, ქობულეთის მუნიციპალიტეტის** ჩაქვის N1 საჯარო სკოლის შენობა

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად, სკოპინგის დასკვნის მიმღებ უფლებამოსილ ორგანოს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

წარმოდგენილ სკოპინგის დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 5 ნოემბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). დამატებით გაცნობებთ, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: (+995 322) 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, **2024 წლის 3 ოქტომბერს** საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენილ იქნა განცხადება სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე. აღნიშნული განცხადების რეგისტრაციიდან, არაუადრეს 26-ე დღისა და არაუგვიანეს 30-ე დღისა სააგენტო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გასცემს სკოპინგის დასკვნას, რომლითაც განისაზღვრება გზშ-ის ანგარიშის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. სკოპინგის დასკვნის გაცემისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://ei.gov.ge/ka/info/b3e4bbf2-3323-42e4-b4b7-851799173862